

**საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის
ბრძანება № MOD 5 21 0000026
2021 წლის 05 თებერვალი**

საკურატორო სფეროსა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური საერთო ხელმძღვანელობას უწევს თავდაცვის ძალებში შემავალ ქვედანაყოფებს და მისი უშუალო საკურატორო სფეროა:

- ა) თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ბ) თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის საბრძოლო მზადყოფნის მონიტორინგის სამმართველო;
- გ) თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობა;
- დ) თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობა;
- ე) თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა;
- ვ) თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა;
- ზ) თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდია;
- თ) თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალები;
- ი) თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი.

2. საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილეების საკურატორო სფეროები და უფლებამოსილება განისაზღვროს შემდგომში:

ა) თავდაცვის ძალების მეთაურის პირველი მოადგილე გენერალ - მაიორი ნიკოლოზ ჯანჯღავა, ზედამხედველობას უწევს და მისი უშუალო საკურატორო სფეროა:

ა.ა) თავდაცვის ძალებში „ამოცანით მართვის“ დანერგვა;

ა.ბ) თავდაცვის ძალებში სამხედრო დოქტრინების შემუშავების/განვითარების პროცესის კოორდინაცია;

ა.გ) თავდაცვის ძალებში ინგლისური ენის შესაძლებლობების განვითარება.

ბ) თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე - გენერალური შტაბის უფროსი ბრიგადის გენერალი ჯონი ტატუნაშვილი, ზედამხედველობას უწევს და მისი უშუალო საკურატორო სფეროა გენერალური შტაბის შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

ბ.ა) J-1 პერსონალის დეპარტამენტი;

ბ.ბ) J-2 დაზვერვის დეპარტამენტი;

ბ.გ) J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტი;

ბ.დ) J-4 ლოჯისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი;

ბ.ე) J-5 სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი;

ბ.ვ) J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტი;

ბ.ზ) J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი;

ბ.თ) სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრი;

ბ.ი) სამედიცინო დეპარტამენტი;

ბ.კ) შეიარაღების კონტროლისა და ვერიფიკაციის სამმართველო;

ბ.ლ) კავშირგაბმულობის ცენტრი;

ბ.მ) კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტი.

გ) თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე გენერალ - მაიორი ზაზა ჩხაიძე, ზედამხედველობას უწევს და მისი უშუალო საკურატორო სფეროა:

გ.ა) თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა;

გ.ბ) სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;

გ.გ) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;

გ.დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან კოორდინაცია.

დ) თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ირაკლი ჭიჭინაძე, ზედამხედველობას უწევს და მისი უშუალო საკურატორო სფეროა:

დ.ა) თავდაცვის ძალების სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი;

დ.ბ) საერთაშორისო ურთიერთობები;

დ.გ) ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საკურატორო სფეროსა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის 2020 წლის 28 ივლისის N267 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი